პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 118 (4112)

1970 წ. 18 ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

**გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.**

## პრიზიორები

რამდენიმე დღის წინ ბერლინში დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ევროპული ჩემპიონატი. გთავაზობთ პრიზიორთა სიას გუნდურ და პირად ჩათვლაში.

**გუნდური**, 1. გდრ — 28 ქულა, 2. სსრ კავშირი — 25,5, 3. იუგოსლავია — 25, 4. ბულგარეთი — 25, 5. უნგრეთი — 23, 6. პოლონეთი — 17.

**პირადი**, 48 კგ. 1. ბარჩიანუ (რუმინეთი), 2. გაალი (უნგრეთი), 3. კალაფიერო (იტალია).

52 კგ. 1. კიროვი (ბულგარეთი), 2. მარინკოვი (იუგოსლავია), 3. ოლზოევი (სსრ კავშირი).

57 კგ. 1. ვარგა (უნგრეთი), 2. ბაჩუ (რუმინეთი), 3. ტრაიკოვი (ბულგარეთი).

62 კგ. 1. ველინგი (გდრ), 2. ლააკსო (ფინეთი), 3. კასპარი (ჩეხოსლოვაკია).

68 კგ. 1. გიოპფერტი (გდრ), დამიანოვიჩი (იუგოსლავია), 3. შიონდერფერი (გფრ).

74 კგ. 1. იგუმენოვი (სსრ კავშირი), 2. კეჩმანი (იუგოსლავია), 3. ბერგერი (ავსტრია).

82 კგ. 1. ნენადიჩი (იუგოსლავია), 2. ოსტროვსკი (პოლონეთი), 3. ფესპერი (გდრ).

90 კგ. 1. რეზანცევი (სსრ კავშირი), 2. მეტცი (გდრ), 3. ჩორაკა (იუგოსლავია).

100 კგ. 1. ხვენსონი (შვეცია), 2. კიში (უნგრეთი), 3. კოლევი (ბულგარეთი).

**მძიმე**. 1. ბოკი (გფრ), 2 ვოლდა (პოლონეთი), 3. ტომოვი (ბულგარეთი).

როგორც ხედავთ საპრიზო ადგილებს 13 ქვეყნის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. ეს იმას ნიშნავს, რომ კლასიკური ჭიდაობის „გეოგრაფია" კიდევ უფრო გაიზარდა. აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის:

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| გდრ | 2 | 1 | 1 |
| სსრ კავშირი | 2 | 0 | 1 |
| იუგოსლავია | 1 | 3 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 3 |
| უნგრეთი | 1 | 2 | 0 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 |
| გფრ | 1 | 0 | 1 |
| შვეცია | 1 | 0 | 0 |
| პოლონეთი | 0 | 2 | 0 |
| ფინეთი | 0 | 1 | 0 |
| იტალია | 0 | 0 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 0 | 0 | 1 |
| ავსტრია | 0 | 0 | 1 |





გუშინწინ თბილისის კიროვის სახელობის პარკში საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა XXII რესპუბლიკური სპარტაკიადა. ნორჩ სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი. შემდეგ მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები.

სურათზე: ნორჩ სპორტსმენთა კოლონა საზეიმო ალლუმზე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## 400 საათი საჭესთან

„გულწრფელად გილოცავთ „მოსკვიჩების" გუნდის ბრწყინვალე გამოსვლას ლონდონ—მეხიკოს მარათონულ რალიში. ეს უაღრესად დაძაბული და რთული შეჯიბრება იყო. ლონდონში 96 მანქანამ აიღო სტარტი, მეხიკომდე კი მხოლოდ 22 ეკიპაჟმა მიაღწია. მათ შორის სამი „მოსკვიჩი" აღმოჩნდა".

ასეთი დეპეშა მიიღო ლონდონ—მეხიკოს რალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარისგან „ავტოექსპორტმა". 11 ივნისს ამ გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. პეტროვმა დეპეშა წაიკითხა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის კლუბში მოეწყო.

ჟურნალისტებს ესაუბრნენ ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. პოზდნეევი, სსრ კავშირის ავტოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე, პროფესორი ლ. აფანასიევი, თვით საკონტინენტთაშორისო ავტოგადარბენის მონაწილენი.

ავტოსპორტის ოსტატებმა 400 საათი გაატარეს საჭესთან. უკან დარჩა ტრასა, რომლის სიგრძეც 26 ათას კილომეტრს უდრიდა.

სერიული წარმოების მცირელიტრაჟიანი „მოსკვიჩის" ეკიპაჟი ლ. პოტაპჩიკის, ი. ლესოვსკისა და ე. ბაჟენოვის შემადგენლობით ჟიურიერესთა რიცხვში მოხვდა. წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე, გ. ხოლმი, კ. გიდრაუსკასი, ვ. ბუბნოვი, ს. ტენიშჩევი, ვ. კისლიხი, ვ. შიროჩენკოვი.

მომავალში საბჭოთა სპორტსმენები აპირებენ სტარტი აიღონ მარათონულ შეჯიბრებებში „მოსკვიჩებითა" და ახალი მოდელის „ვოლგებით". როგორც ჟურნალისტებს ლ. აფანასიევმა აცნობა, განზრახულია 1972 წელს მოეწყოს „ავტორალი საბჭოთა კავშირი". ასპარეზობის დისტანცია დაახლოებით 20 ათასი კმ იქნება.

ინგლისის სამეფო ავტოკლუბს განზრახული აქვს გაისად მოაწყოს რალი მარშრუტით ლონდონი — ტოკიო.

ვ. დვორცოვი.
(საკდესის კორ.).



## ისინი აქ დამეგობრდნენ

ამას წინათ სოხუმის „საკავშირო ალკკ XV ყრილობის" სახელობის ტურბაზაში სტუმრად ჩამოვიდნენ მეშახტე-სპორტსმენები პოლონეთის ქალაქ სოსნოვეციდან. მათ 10 დღეს დაჰყვეს სოხუმში. სტუმრებმა დაათვალიერეს აფხაზეთის ღირსშესანიშნავი ადგილები, რამაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

სურათზე: პოლონელ და საბჭოთა სპორტსმენთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ი. პისუკი, ა. რიუკოვი, ვ. ვსპანიაცი, თ. ნიკოლაძე, ზ. ვოლნიცკი, დ. პავლოვი თამაშის შემდეგ.

შ. ჩხეტიანის ტექსტი და ფოტო.

## გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე დამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა ტურნირი, რომელიც 3 ახალი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა. თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ს. ხრიპკომ (მწვრთნელი ე. გაგუა) 160 სმ სიმაღლე დაძლია და 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა საშუალო ასაკის გოგონების რეკორდი, რომელიც 1965 წლიდან ქუთაისელ ჯ. ჩუბინიძეს ეკუთვნოდა. 200 მეტრზე გოგონების თარჯრბენში რეკორდსმენი გახდა თბილისის 83-ე სკოლის მეცხრეკლასელი მ. ალიაკრინსკაია (მწვრთნელი გ. მიროტაძე) — 30,4. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელმა ი. რიმარმა (მწვრთნელი ა. ლაკერბაი) ათჭიდში 6292 ქულა მოაგროვა. ეს უფროსი ასაკის ჭაბუკების რესპუბლიკური რეკორდია. 400 მეტრზე გოგონების რბენაში ლ. ჭარბაძემ (თბილისი) — 58,6 და 110 მეტრზე თარჯრბენში ნ. აბუაშვილმა (გარდაბანი) — 15,2, ძველი რეკორდები გაიმეორეს.

## ახალი ამბები

● **სოფია, 16 ივნისი.** ბულგარეთის დედაქალაქში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ასპარეზობაში ყველაზე სახელი მოიხვეჭა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ვერენჩუკმა. მან დააგროვა 5152 ქულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გფრ-ის, იტალიის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და უნგრეთის წარმომადგენლები.

● **მოსკოვი, 16 ივნისი.** აქ ფინიში ჰქონდა მოტოესტაფეტას „გამარჯვება". მონაწილეებმა დაფარეს 7 ათასამდე კილომეტრი. ისინი 38 დღის განმავლობაში სტუმრად იყვნენ გმირ ქალაქებში. დედაქალაქის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მამაც მოტომრბოლელებს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. მათ მიესალმა დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-მაიორი ს. გრაჩოვი.

● **პარიზი, 16 ივნისი.** საფრანგეთისა და გფრ-ის მძლეოსანთა მატჩში 22 წლის ვ. შმიდტმა ურო 72,82 მეტრზე ტყორცნა და 36 სანტიმეტრით გააუმჯობესა გფრ-ის რეკორდი, რომელიც 1968 წლიდან ეკუთვნოდა ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორს უ. ბეიერს.

## 20 45

◆ **ბერგენი, 17 ივნისი.** ნორვეგიის ამ ქალაქში მოეწყო მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობა. ურალელმა მორბენალმა, 22 წლის ი. ივანოვმა გაიმარჯვა 800 მეტრზე რბენაში — 1.50,7. ასევე იმარჯვა ე. გუშჩინმა (მოსკოვის ოლქი). მისი ბირთვი 18,97 მეტრზე დაეცა.

◆ **ტამპერე, 17 ივნისი.** მძლეოსანთა შეჯიბრებებში კვლავ ახალგაზრდული შემართებით გამოდის ფინელი ვეტერანი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი პ. ნევალა. ამჯერად მის მიერ ნატყორცნმა შუბმა 88,90 მ იფრინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაფხული მოგზაურობებისა და ლაშქრობების შესანიშნავი დროა. კარგია ამ დროს ბუნების წიაღში გასეირნება, მისი სილამაზით ტკბობა.
სურათზე: ჯავის პიონერთა ბანაკის დამსვენებლები ლაშქრობის შემდეგ ერწოს ტბის ნაპირთან.

შ. ჩხეტიანის ფოტო.

# განვითარება და არა აღზრდა

როგორც ცნობილია, პედაგოგიური პროცესი, თუ ზოგადპედაგოგიურ პლანში განვიხილავთ, შედგება ორი მთავარი მხარისგან: სწავლებისა და აღზრდისგან. ამასთან, პირველი მეორეს ექვემდებარება.

ფიზიკური აღზრდა კი უკვე სამ მხარეს მოიცავს: სწავლებას, ორგანიზმის განვითარებას და აღზრდას. ოღონდ აქ პირველი ორი მესამეს ექვემდებარება.

ცნობილია, რომ ფიზიკური განვითარება, როგორც ამ საკმაოდ რთული ერთიანი პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთი მხარე, თავის თავში ფიზიკური თვისებების განვითარებასაც მოიცავს. ეს ცნება დიდი ხნის მანძილზე სწორედ ასე იყო ფორმირებული: „ფიზიკური თვისებების განვითარება".

ფიზიკური თვისებების განვითარება იმ მორფოლოგიური, ბიოქიმიური და ფუნქციონალური ცვლილებების საფუძველზე ხდება, რომლებიც ორგანიზმში შრომით, ყოფით ან სხვა პირობებში მიმდინარეობენ. მეორეს მხრივ, იგი ხორციელდება სპეციალურად ორგანიზებულ პედაგოგიურ პროცესში, როცა მის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ განსაზღვრული თვისებების: ძალის, სისწრაფის, ამტანობის, მოქნილობისა და სხვათა სპეციალური, მიზანდასახული განვითარება შეადგენს.

ამგვარად, ფიზიკურ აღზრდაში პედაგოგიური პროცესის სამი მხარის არსებობა მოწმობს მომეცადინეებზე სპეციფიკური ზემოქმედების უშუალო პროცესს. მათი ცოდნით, მოძრაობითი შემძლეობითა და ჩვევებით შეიარაღებას (ე. ი. სწავლებას), ფიზიკური სფეროს (ე. ი. ფიზიკურ) განვითარებას და კომუნისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებას, ხოლო როგორც მის შედეგს — ზნეობრივ აღზრდას (ესე იგი, პიროვნების აღზრდას). აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სხვადასხვა ზემოქმედებას მომეცადინეებზე შესაბამისად სხვადასხვა სახელიც უნდა ერქვას.

ბოლო წლებში ჩვენში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტში დიდი მუშაობა ჩატარდა ადამიანის ფიზიკური თვისებების განვითარების ბუნებასა და კანონზომიერებაზე თანამედროვე შეხედულებათა განზოგადებისა და ჩამოყალიბებისთვის. კერძოდ, ამ მუშაობამ გამოხატულება ჰპოვა ვ. ზაციორსკის მონოგრაფიაში („სპორტსმენის ფიზიკური თვისებები". მოსკოვი, 1966 წ.), რომელიც უეჭველად მნიშვნელოვანი ნაშრომია ფიზიკური აღზრდის თეორიაში. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მონოგრაფიის ავტორმა რამდენიმე უზუსტობა დაუშვა ფიზიკური თვისებების ახსნაში, რამაც სასწავლო ლიტერატურაშიც ჰპოვა გამოძახილი („ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა". სახელმძღვანელო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისთვის, მოსკოვი, ტომი I, 1967 წ.). ფიზიკური თვისებების აღზრდაზე ლაპარაკი პირველად დაიწყეს ფიზიკური აღზრდის თეორიის 1959 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში, მაგრამ ახალი ცნების შემოტანის მიზეზი იქ ახსნილი არ იყო. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ „ფიზიკური თვისებების განვითარების" „ფიზიკური თვისებების აღზრდით" შეცვლა სათანადოდ დასაბუთებული არ არის.

როგორც ვ. ზაციორსკი ამბობს, ამის საფუძველი იყო მსჯელობა, რომ „ფიზიკური თვისებების განვითარება" სხვა არაფერია, თუ არა „მათი ცვალებადობის პროცესი ადამიანის ცხოვრებაში" (გვ. 7), ხოლო ფიზიკური თვისებების აღზრდა გულისხმობს... „მართვის პედაგოგიურ პროცესს, განვითარებაზე ზემოქმედებას მისი სასურველი მიმართულებით შეცვლის მიზნით" (იქვე). ამასთან, მონოგრაფიის ავტორს ფიზიკური თვისებების განვითარებასა და აღზრდას შორის განსხვავება „უაღრესად არსებითად" მიაჩნია. მისი აზრით, ახალი ცნების ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ იგი „მკითხველთა დიდი ნაწილისთვის უჩვეულოა" (იქვე). ალბათ ამიტომ, ტექსტში ზოგჯერ გვხვდება ძველი ტერმინიც — „ფიზიკური თვისებების განვითარება".

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ფიზიკურ თვისებებზე ზეგავლენა, სპეციალურად (პედაგოგიურად) ვახდენთ მას, თუ ცხოვრების პირობებითაა გამოწვეული, ყველა შემთხვევაში ობიექტურ კანონზომიერებათა საფუძველს ეყრდნობა. არ შეიძლება ცნება „აღზრდის" აღრევა. ეს პედაგოგიური პროცესის მთავარი, წამყვანი მხარის დაუფასებლობაა.

რაც ბიოლოგიურია ადამიანში (ე. ი. ბიოლოგიურ ცვლილებებს), იმას აღზრდას ვერ ვუწოდებთ. მაგალითად, თვალის ფუნქციებზე არ ვიტყვით ვზრდითო, თუნდაც საგანგებოდ ვმუშაობდეთ ამაზე. ფუნქცია ვითარდება, ეს კი მისი სტრუქტურის განვითარებას იწვევს და პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ კუნთის განსავითარებლად მთელ რიგ საშუალებებს ვიყენებთ (ე. ი. ვაუმჯობესებთ ნივთიერებათა ცვლას, ყველა სხვა პროცესს, მორფოლოგიურ ცვლილებებს, ვაღწევთ აღგზნების იმპულსების ათვისების ხარისხის გაზრდას) და ამის შედეგად სპეციალურად ვზრდით ფიზიკურ ძალას, ეს პროცესი მაინც განვითარების პროცესია და არა აღზრდისა. ცნება „ფიზიკურ განვითარებას" აქ ვხმარობთ, როგორც ფიზიკური აღზრდის პროცესის ერთ-ერთი მხარის მაჩვენებელს.

„განვითარება" (იგი მეცნიერების მთელ რიგ დარგებში გამოიყენება), როგორც ცნობილია, ფართო ცნებაა. პრინციპში აქ მხედველობაში ვღებულობთ ერთიდან მეორე, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას. ეს ცნება ადამიანის მიმართაც ყოველთვის ერთნაირად არ გამოიყენება. ერთია, როცა ვლაპარაკობთ საერთოდ ადამიანზე, სხვაა, როცა ცალკე ვეხებით სულიერ თუ ფიზიკურ მხარეს.

ამ შემთხვევაში ჩვენ ამ ცნებას განვიხილავთ ისე, როგორც მიღებულია ფიზიკური აღზრდის თეორიაში — მხოლოდ ფიზიკური აღზრდის პროცესის ერთ-ერთი მხარის მაჩვენებლის მნიშვნელობით.

ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია ზემოხსენებული ტერმინების ასეთი შეცვლა. ამან უკვე საკმაო გაუგებრობა გამოიწვია პედაგოგიური პროცესის სხვადასხვა მხარის, მისი აღმზრდელობითი მხარის მნიშვნელობის გაგებაში. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რომ ამ ბოლო დროს ბევრი, ამ შემთხვევაში რეზონულად, ცნება „აღზრდაში" გულისხმობს პედაგოგიური პროცესის არა საზოგადოდ მიღებულ აღმზრდელობით (ესე იგი, მსოფლმხედველობრივ-ზნეობრივ) მხარეს, არამედ ფიზიკური აღზრდის ვიწრო მნიშვნელობას, ესე იგი, ფაქტიურად ფიზიკური აღზრდის მხოლოდ ერთ მხარეს — ფიზიკურ განვითარებას (ზემოხსენებული სახელმძღვანელო, გვ. 12). კიდევ უფრო ვიწროდ გულისხმობენ მხოლოდ ფიზიკური თვისებების განვითარებას და ფაქტიურად, გვერდს უხვევენ პედაგოგიური პროცესის (მათ შორის, ფიზიკურ აღზრდაშიც) ორგანიზაციის მთავარ მიმართულებას, — პიროვნების აღზრდას.

საერთოდ არის თუ არა საჭირო, რომ ფიზიკური აღზრდა, როგორც პედაგოგიური პროცესი, განხილულ იქნეს ცნების ვიწრო მნიშვნელობითაც? მის ყოველ მხარეს ხომ თავისი კუთვნილი სახელი აქვს. მაგალითად, ის რაც სახელმძღვანელოს ავტორს აქვს მხედველობაში ფიზიკური აღზრდის „ვიწრო" გაგების ქვეშ, ცნობილია, როგორც ფიზიკური განვითარება, პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთი, ამასთანავე, სპეციფიკური მხარე.

როგორც ცოდნის, მოძრაობითი შემძლეობისა და ჩვევების (ესე იგი სწავლების) გაიგივება არ შეიძლება აღმზრდელობით მხარესთან, თუმცა სწავლება, ფიზიკური განვითარების მსგავსად, მართვის პროცესს ემორჩილება, ისე და მით უფრო არ იქნება სწორი ფიზიკური თვისებების განვითარება მივაკუთვნოთ უშუალოდ აღზრდას.

ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი მასალების კრებულთა უმეტესობაში ცნობილი სპეციალისტები ამ საკითხს განიხილავენ, როგორც მხოლოდ ფიზიკური თვისებების განვითარებას.

თუ ფიზიკურ აღზრდაში, სპორტში, მართლაც სპეციალურად ვცდილობთ ადამიანის ფიზიკური თვისებების სრულყოფას, ეს კიდევ არ ნიშნავს ამ მხარის (მომეცადინეთა ფიზიკური სფერო) აღზრდას. აღზრდა შეიძლება მხოლოდ პიროვნებისა, მხოლოდ მისი მორალურ-ნებელობითი თვისებებისა და ისიც შესაბამისი სოციალური მნიშვნელობის სიტუაციაში. იმ თვისებებზე კი, რომლებიც უშუალოდ ადამიანის ფიზიკურ სფეროს მიეკუთვნებიან, ამას ვერ ვიტყვით.

ცნობილია, რომ ადამიანის სხეული უაღრესად რთული და მეტად ინდივიდუალური მოვლენაა. მისი კანონების შესწავლა, მით უმეტეს ხელოვნური ექსპერიმენტების ჩატარება, ახალი ცნებების დამკვიდრება ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების პროცესის (ან ხასიათის) აღსანიშნავად უნდა მოხდეს უაღრესად დიდი სიფრთხილით და მხოლოდ მაშინ, როცა სიახლის უპირატესობა აშკარაა, როცა დარწმუნებული ვართ, რომ იგი საქმეში არევ-დარევას არ შეიტანს, ხელს არ შეგვიშლის ისტორიული ლიტერატურის გამოყენებაში. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ რაიმე სერიოზული მიზეზი უნდა არსებობდეს. ჯერჯერობით კი რაიმე ობიექტური საფუძველი იმის დასამტკიცებლად, თითქოს ფიზიკური თვისებების განვითარების სპეციალური ორგანიზაციის დროს. მაგალითად, ძალა (ისევე როგორც ყველა სხვა თვისება) უნდა აღიზარდოს, არა გვაქვს. უცნაური იქნებოდა ლაპარაკი მოქნილობის. ესე იგი, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მორფოლოგიურ-ფუნქციონალური თვისებების ან მისი შემადგენელი რგოლების მოძრაობის ხარისხის აღზრდაზე. განსაკუთრებით უსიამოვნოდ ჟღერს ქართულად „ძალის აღზრდა", „გამძლეობის აღზრდა", მით უმეტეს „მოქნილობის აღზრდა". ბოლოს და ბოლოს, ასე ჩვენ შეიძლება მივიდეთ იმ მტკიცებამდე, თითქოს ფიზიკური თვისებების აღზრდა (როცა მათს სპეციალურად განვითარებას ცდილობენ) ცხოველებშიც შეიძლება.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც პედაგოგიურ პროცესში კეთდება, წმინდა აღზრდის კატეგორიას არ მიეკუთვნება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფიზიკური აღზრდის ყველა მხარეს: სწავლებას, ფიზიკურ განვითარებას, კომუნისტურ-ზნეობრივ აღზრდას თავისი კანონზომიერებანი აქვს. როცა მომეცადინეთა გონებაზე ვახდენთ ზემოქმედებას, ჩვენ მათ ვასწავლით და ამ პროცესს სწავლებას ვეძახით. როცა ფიზიკურ სფეროზე ვმოქმედებთ, ხელს ვუწყობთ ორგანიზმის სწორ ზრდას და განვითარებას, მათ შორის ფიზიკური თვისებების განვითარებას და ამას სწორედ ფიზიკურ განვითარებას ვეძახით. როცა მომეცადინეთა ფსიქიკაზე და მსოფლმხედველობრივ-მორალურ მხარეზე ვახდენთ გავლენას, ჩვენ ვზრდით პიროვნებას და სწორედ ამას ვეძახით აღზრდას. თავად სწავლება, როგორც ცნობილია, პირველ ყოვლისა პიროვნების აღზრდის საშუალებაა. ამ დროს მომეცადინეთა აღზრდაც ხდება, მაგრამ ჯერჯერობით ტერმინი „სწავლება" „აღზრდით" არავის შეუცვლია.

ახალი ცნებების წარმოქმნა, მათი შინაარსის ახალი გაგებით გამდიდრება უთუოდ აქსიომურ საბუთებს უნდა ეყრდნობოდეს. იმ შემთხვევაში კი, როცა მხოლოდ ნაწილობრივი, თუნდაც მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება, ცნებების გარდაქმნის საჭიროება არ უნდა გაჩნდეს. დგება საკითხი: აქვს თუ არა აზრი ახალი ცნებების შემოღებას? ამ შემთხვევაში საამისოდ დამაჯერებელი საბუთი არ გაგვაჩნია.

ჩვენ შეგვეძლო უფრო მეტად და ფართოდ დაგვესაბუთებინა ფიზიკური თვისებების განვითარების ცნების აღზრდის შეცვლის მცდარობა, მაგრამ ამ შემთხვევაში თავს ვიკავებთ და საკმარისად ვთვლით ზემოთქმულს.

ვ. ელაშვილი.

# მუშაობა საჯაროდ შეაჯამეს

ამას წინათ გაიმართა „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს აქტივის კრება, რომელიც 1969 წლის შედეგების შეჯამებასა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საკითხს მიეძღვნა.

— ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვმა 446-ს, ფიზკულტურელთა რაოდენობამ კი 68 ათას კაცს მიაღწია. მომზადდა 18 სპორტის ოსტატი, 16 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 149 პირველთანრიგოსანი, 8847 სხვა თანრიგების სპორტსმენი, 6400 ფიზკულტურელი ნიშნოსანი გახდა, სპორტულ სექციებსა და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში 70 ათასზე მეტი კაცი ირიცხება — ასეთი იყო თბილისელ სპარტაკელთა მიღწევა, რომელზეც თავის მოხსენებაში ამ საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. კალანდაძემ ილაპარაკა.

სპორტის 20 სახეობაში, — განაგრძო მომხსენებელმა, — „სპარტაკის" რესპუბლიკური ნაკრები გუნდები ძირითადად თბილისელებითაა დაკომპლექტებული. შარშან მათ 15 სახეობაში მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

იუბილესთვის მზადების პერიოდში განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივები, ამაღლდა სპორტული და ფიზკულტურული მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის დონე, გაძლიერდა მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

აქტივის კრებაზე ამხილეს ნაკლოვანებებიც. აქ ითქვა, რომ ჩაის გადამწონ და მაკარონის ფაბრიკებში, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, ქალაქის № 1 საავადმყოფოში, კურორტოლოგიის ინსტიტუტში ფიზკულტურული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ. 11 კოლექტივში არ მოუმზადებიათ თანრიგოსნები. ველოსპორტში (გზატკეცილი და ტრეკი), თანამედროვე ხუთჭიდსა და ფრენბურთში არ შესრულდა სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების ვალდებულებები. ისიც ითქვა, რომ მაკარონის ფაბრიკას, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას, სასტუმრო „ივერიას", ქალაქის № 1 საავადმყოფოს, მე-5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კონტორას შტატში არ ჰყავთ ფიზკულტურის მეთოდისტი. ჯერჯერობით არსადაა შექმნილი მშრომელთა დასვენების ზონები, მონადირეთა და მეთევზეთა ქოხები. თბილისში არაა საზოგადოების არც ერთი ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ინსტრუქტორი „სპარტაკის" რესპუბლიკურ საბჭოში ნ. ჩახავა, ინდივიდუალური კერვის № 1 ფაბრიკის მეთოდისტი გ. კანაშაძე, სპორტკლუბ „სინათლის" ინსტრუქტორი შ. ნაცვალაძე, წყალსადენის ტრესტის ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარე ა. ახვერდოვი და სხვ.

აქტივზე დააჯილდოვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში I ადგილებზე გასული კოლექტივები.

თ. გაჩეჩილაძე.

## თბილისის ჩემპიონი რუსთავში გამოვლინდა

თბილისის დოსაafის კომიტეტმა რუსთავის ტრასაზე ჩაატარა ქალაქის პირველობა მოტოკროსში ტექნიკური სახეობების სპარტაკიადის პროგრამით. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: 1 მაისის, ლენინის, კალინინის, კიროვის, ოქტომბრის და 26 კომისრის სახელობის რაიონების გუნდები. სპორტსმენებს კილომეტრიანი წრე 3 ცდით 10-10-ჯერ უნდა შემოევლოთ.

1 მაისის რაიონის ნაკრები ყველაზე უკეთ იყო მომზადებული და გამარჯვებაც მას დარჩა. II ადგილზეა ლენინის რაიონის გუნდი, III — კალინინის რაიონის ნაკრები.

თ. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.




## სსრ კავშირის პირველობა

### უმაღლესი ჯგუფი „ა“ კლასი

16 ივნისს გაიმართა კიდევ 8 მატჩი.

კიევის „დინამო“ ეწვია ლენინგრადს და შეხვედრა ჰქონდა ადგილობრივ „ზენიტთან“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1. კიეველთაგან გოლების ავტორები არიან ონიშჩენკო და კაშჩეი (2). ლენინგრადელმა უნანოვმა ერთადერთი საპასუხო გოლი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ ვერაფერი მასპინძლობა გაუწია ბაქოს „ნეფთჩის“. ერთადერთი გოლი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, ბაქოელთა კარში 21-ე წუთზე გაიტანა ზკლიარმა.

დონეცკის „შახტიორსაც“ შინ ჰქონდა შეხვედრა. მან მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი და დაამარცხა იგი. აქაც ერთხელ აიღეს კარი (კლიმოვი).

მატჩები, გოლები, ქულები

## გადარჩენილი ქულა

ორჯონიკიძე. „სპარტაკის“ სტადიონი. 16 ივნისი.

„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:0).

„სპარტაკი“: ოლეინიკი, ბიჩიკოევი, პლიევი, ხუდიევი, კოჩიევი, კაიტუკოვი, ტუაევი, კაიშაური, პაპელიშვილი, ზაზროევი (ტარასიანი), მაყოხინი (ძაგოევი).

„დინამო“: ურუშაძე, ხინჩიგაშვილი, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი, მაჩაიძე (მჭედლიშვილი), გავაშელი, ლ. ნოდია.

მსაჯი ხ. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

მატჩი ერთობ მწვავედ დაიწყო. თამაშის პირველივე წუთზე სპარტაკელთა დებიუტანტმა მაყოხინმა ზედიზედ სამჯერ შეუტია „დინამოს“ კარს, მაგრამ იღბლად ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია. თბილისელთა კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ხან მცველებმა და ხან ურუშაძემ გუნდი იხსნეს. თამაშის 21-ე წუთზე დინამოელებს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა მიეცათ. სპარტაკელთა მეკარემ ოლეინიკმა ბურთი შეცდომით გავაშელს გადააწოდა, ამ უკანასკნელის დარტყმა ასცდა კარს.

პირველი წარმატება მაინც მასპინძლებმა მოიპოვეს. 28-ე წუთზე გოლი თავური დარტყმით გაიტანა მაყოხინმა, როცა კაიშაურთან ერთად ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშა. შესვენებამდე ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს.

შესვენების შემდეგ ინიციატივას თბილისელები დაეუფლნენ. ისინი ხშირად უტევდნენ მასპინძელთა კარს. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს ილიადიმ შორიდან ძლიერად დაარტყა (59-ე წუთი). მართალია, ოლეინიკმა შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ შემდეგ ხელიდან გაუვარდა იგი. ბურთს მიუსწრო იქვე დადარაჯებულმა პეტრიაშვილმა და ზუსტი დარტყმით სპარტაკელთა კარში გაგზავნა — 1:1.

ჯ. ძუკაევი.
(ჩვენი კორ.)

## მოგება შეიძლებოდა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 16 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2 (0:1).

ქუთაისი: გრძელიშვილი, აბზიანიძე, წვერავა, ქოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, დელბა, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე.

მოსკოვი: ბანიკოვი, იანეცი, პახომოვი, კრასნოვი, გულიამმაიდაროვი, შუსტიკოვი, ლენიოვი (დეგტიაროვი), ნიკონოვი (პაისი), შალიმოვი, გერშკოვიჩი, იურინი.

მსაჯი პ. გავრილიადი (სოჭი).

დუბლიორები — 1:1.

თანაკლუბელებმა მატჩი ურთიერთდაზვერვით დაიწყეს, რაც თხუთმეტიოდე წუთს გაგრძელდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სრულიად უხიფათო სიტუაციაში ქუთაისელთა კარში ბურთი გავიდა, თამაში უფრო გამოცოცხლდა. მე-16 წუთზე, როცა სტუმრები ბურთს ერთმანეთს შორის ათამაშებდნენ, გულიამპაიდაროვმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და დაახლოებით 25 მეტრიდან არც ისე ძლიერად დაარტყა კარში და ანგარიში გაიხსნა.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა უფრო მწვავედ შეუტიეს სტუმრების კარს. ორიოდე წუთის შემდეგ ოქროპირაშვილმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე ხერხაძე, მაგრამ მას ბანიკოვმა დაასწრო. სულ მალე მოსკოველთა მეკარემ წვერავას შორეული და ძლიერი დარტყმა მოიგერია. 30-ე წუთზე ხერხაძემ ვერ გამოიყენა მეტოქე გუნდის მცველთა არაზუსტი, შეუთანხმებელი თამაში, როცა კარის პირისპირ დარჩენილმა ძალზე სუსტად დაარტყა. ბანიკოვი ბურთს იოლად დაეუფლა. ასევე ვერ გამოიყენა კარის აღების აშკარა შესაძლებლობა დელბამ. ტაიმის ბოლოს ბანიკოვმა შეძლო ერქომაიშვილის ძლიერი დარტყმის უვნებელყოფა.

შეხვედრის მეორე ნახევარი მასპინძელთა მწვავე იერიშებით დაიწყო. მოსკოველთა კართან კუთხური გასშირდა. და აი, 52-ე წუთზე, სწორედ მორიგი კუთხურის ჩაწოდებით ერქომაიშვილმა საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1. ამ წარმატებამ ქუთაისელთა თამაშს დამაჯერებლობა შემატა. ისინი უფრო ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე. 57-ე წუთზე დელბამ ვერ გამოიყენა კარის აღებისთვის ხელსაყრელი მომენტი, ხოლო 62-ე წუთზე ქორიძე მოსკოველმა მცველებმა ზედ კარის წინ მოცელეს. ხერხაძემ კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა და თავისი გუნდი დააწინაურა — 2:1. 73-ე წუთზე ხერხაძეს გამარჯვების ტოლფასი გოლის გატანა შეეძლო, როცა ოსტატური ილეთით უკან მოიტოვა კრასნოვი, მაგრამ ბანიკოვის პირისპირ დარჩენილმა მიუტევებლად იჩქარა და ბურთი კარს ააცილა. მატჩის დამთავრებამდე გრძელიშვილმა თითქმის თავგანწირვის ფასად აიღო ლენიოვისა და შუსტიკოვის ძნელი ბურთები. მაგრამ 83-ე წუთზე დეგტიაროვის შორიდან დარტყმას ალღო ვერ აუღო და ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

შ. ნიშარაძე.
(ჩვენი საკ. კორ.)

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 7 | 3 | 2 | 21—6 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 6 | 4 | 1 | 19—7 | 16 |
| „დინამო“ (კიევი) | 11 | 7 | 2 | 2 | 13—7 | 16 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 6 | 3 | 2 | 18—5 | 15 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 11 | 5 | 4 | 2 | 9—5 | 14 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 4 | 5 | 3 | 13—12 | 13 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 12 | 3 | 6 | 3 | 10—7 | 12 |
| „არარატი“ (ერევანი) | 11 | 5 | 2 | 4 | 10—9 | 12 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 12 | 4 | 4 | 4 | 7—12 | 12 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 11 | 2 | 7 | 2 | 13—12 | 11 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 11 | 2 | 6 | 3 | 7—9 | 10 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 11 | 2 | 5 | 4 | 7—12 | 9 |
| „დინამო“ (მინსკი) | 11 | 2 | 4 | 5 | 8—11 | 8 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 12 | 2 | 4 | 6 | 6—11 | 8 |
| „პახთაქორი“ (ტაშკენტი) | 11 | 2 | 4 | 5 | 7—22 | 8 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 11 | 2 | 3 | 6 | 10—17 | 7 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 11 | 0 | 4 | 7 | 7—21 | 4 |




## „საქმე გოლის შესახებ“

მექსიკის ბევრმა გაზეთმა დაუთმო ადგილი „საქმეს გოლის შესახებ“. გაზეთები აღწერენ იმ ვითარებას, თუ როგორ გაიტანეს ურუგვაელებმა გოლი სსრ. კავშირის ნაკრების კარში. გაზეთ „დიას“ მიმომხილველი ხორხე ლომელი თავის რეცენზიაში წერს: „ჰოლანდიელი არბიტრისა და გვერდითი მსაჯის შეცდომამ დაუმსახურებელი დამარცხება მოუტანა საბჭოთა ფეხბურთელებს“, „არბიტრმა ურუგვაის აჩუქა გოლი“ და სხვ. თვით ურუგვაის გაზეთი „დებატი“ აღიარებს, რომ „ბურთი მართლაც გასცდა მინდვრის ფარგლებს, სანამ მას გაიტანდნენ რუსების კარში“.

## დღეს

ცისფერ ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ნახევარფინალური მატჩები (ჩანაწერი). იტალია — გფრ (დასაწყისი 20 საათზე); ბრაზილია — ურუგვაი (22 საათზე).

## ბოლო შეხვედრა

მეხიკო, 17 ივნისი. გუშინწინ, აქ, სასტუმრო „ჰილტონში“ გაიმართა იმ გუნდების ტრადიციული შეხვედრა, რომლებმაც ჩემპიონატი დროზე ადრე დაამთავრეს. ამ თავყრილობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, ინგლისის, მექსიკისა და პერუს ფეხბურთელებმა.

საუბრის ძირითადი თემა განვლილი ბრძოლები იყო. ფეხბურთელთა უმრავლესობამ სამართლიანი აღშფოთება გამოთქვა იმ საბედისწერო შეცდომის გამო, რომელმაც ნახევარფინალისკენ გზა გაუხსნა ურუგვაის გუნდს. გამოითქვა ბევრი მოსაზრება, სურვილი თუ როგორ უნდა ავიცილოთ მომავალში მსგავსი ლაფსუსები.

გუშინ, სსრ კავშირის ნაკრები სამშობლოში გამოფრინდა. მექსიკელებმა ჩვენი ფეხბურთელები გულთბილად გააცილეს.

## მერამდენედ...



— ღმერთმა შენც შეგაჩვენოს და შენი სამართალიც!

გ. იაშვილის ნახატი.

## გუშინ, დღეს და...

IX მსოფლიო ჩემპიონატი 31 მაისს კი არ დაიწყო, არამედ გაცილებით ადრე, 2 წლის წინ, როცა პირველად აჰხმაურდა მსაჯის სასტვენი შესარჩევ მატჩებში. ეს იყო რთული და მარათონული ბრძოლა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს დაასახელა 16 ფინალისტი. გთავაზობთ ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს ფინალისტთა მაჩვენებლებს შესარჩევი მატჩების შემდეგ. გუნდები დალაგებული არიან თანმიმდევრულად ჯგუფების მიხედვით (პირველიდან — მეთექვსმეტემდე).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 7—6 | 8 |
| 2. ჩეხოსლოვაკია | 7 | 5 | 1 | 1 | 16—7 | 11 |
| 3. იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 10—3 | 7 |
| 4. სსრ კავშირი | 4 | 3 | 1 | 0 | 8—1 | 7 |
| 5. შვეცია | 4 | 3 | 0 | 1 | 12—5 | 6 |
| 6. ბელგია | 6 | 4 | 1 | 1 | 14—8 | 9 |
| 7. გფრ | 6 | 5 | 1 | 0 | 20—3 | 11 |
| 8. ბულგარეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12—7 | 9 |
| 9. ინგლისი | მსოფლიოს ჩემპიონი — თავისუფალი | | | | | |
| 10. პერუ | 4 | 2 | 1 | 1 | 7—4 | 5 |
| 11. ბრაზილია | 6 | 6 | 0 | 0 | 22—2 | 12 |
| 12. ურუგვაი | 4 | 3 | 1 | 0 | 5—0 | 7 |
| 13. სალვადორი | 7 | 5 | 0 | 2 | 16—8 | 10 |
| 14. მექსიკა | ჩემპიონატის მასპინძელი — თავისუფალი | | | | | |
| 15. ისრაელი | 4 | 3 | 1 | 0 | 8—1 | 7 |
| 16. მაროკო | 9 | 3 | 4 | 2 | 9—7 | 10 |

რა თქმა უნდა, ამ ცხრილით ფინალისტთა შესახებ კატეგორიული მსჯელობა არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ ჯგუფში სხვადასხვა ძალის გუნდები თამაშობდნენ და ყოველ ქულას ერთნაირი ღირებულება არა აქვს.

მაგალითისთვის გაიხსენეთ II შესარჩევი ჯგუფი თავისი დრამატული ისტორიით. ჩეხოსლოვაკიამ ფინალში მონაწილეობის უფლება უნგრეთთან დამატებითი მატჩის მოგებით მოიპოვა. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ უნგრეთის ეროვნული ნაკრები თავისი სიძლიერით არც ერთ დღევანდელ ფინალისტს არ ჩამორჩება. ახლა ბევრს ლაპარაკობენ შესარჩევი ტურნირების ორგანიზაციულ ნაკლოვანებებზე და ვფიქრობთ, ეს კრიტიკა სამართლიანია. განა IX მსოფლიო ჩემპიონატის ნაკლად არ უნდა მივიჩნიოთ, რომ მასში არ მონაწილეობენ, უნგრეთი, ესპანეთი, იუგოსლავია, არგენტინა და სხვა მოწინავე საფეხბურთო ქვეყნები? ჩვენ, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ გვსურს დღევანდელ აუტსაიდერთა ღირსებების დაჩრდილვა, მაგრამ უნგრეთისა და ესპანეთის მონაწილეობა რომ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა მსოფლიო ფეხბურთს, ვიდრე მაროკოს, ისრაელის ან სალვადორის თამაში, ეს ცხადია. ამას გარდა, ჩემპიონატი, რომლის მთავარი მიზანია მსოფლიოს უძლიერესი გუნდების კლასიფიკაცია, იმავე მიზეზით, ვერ ასრულებს თავის ძირითად მოვალეობას.

ახლა კი ორიოდე სიტყვა ნახევარფინალისტებზე. როგორც ხედავთ, ისინი შესარჩევ ტურნირებშიც გამოირჩეოდნენ მაღალი შედეგიანობით (არც ერთს არ აქვს მარცხი და ფაქტიურად ქულათა მაქსიმალური რაოდენობით დაამთავრეს ტურნირები). შესარჩევ ტურნირებში ფინალისტებმა სულ 166 ბურთი გაიტანეს. ერთი მესამედი, ანუ 57 გოლი დღევანდელ ნახევარფინალისტებზე (გფრ, ბრაზილია, იტალია, ურუგვაი) მოდის. სხვათა შორის, მათ ყველაზე ცოტა ბურთი აქვთ გაშვებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესარჩევ მატჩებში არა მარტო თავდასხმამ გამოიჩინა თავი, არამედ დაცვამაც.

## მსოფლიო ჩემპიონატი

მექსიკა 1970 ფეხბურთი IX MEXICO

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ბათუ კრავეიშვილის ხსოვნას

# ამღერებული ქომაგი

არა მგონია იყოს ისეთი ქართველი, ბათუ კრავეიშვილის მომჯადოებელი ხმით რომ არ დამტკბარიყოს. მაგრამ ყველამ როდი იცოდა, რა მგზნებარე მამულიშვილის გული სცემდა მის მკერდში, როგორ ახარებდა და ამღერებდა ყოველი ქართველის წინსვლა. და განა გასაკვირია, რომ ამ შესანიშნავ ადამიანს ღრმად აღელვებდა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების, მათ შორის ყველაზე მეტად ნონა გაფრინდაშვილისა და სხვათა ხაქვეყნოდ გახმიანებული წარმატება.

1958 წლის სექტემბერი. ბათუმი. ზღვისპირა პარკის ფილარმონიის შენობაში სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში 17 წლის ნონა ლიდერობს. დარბაზში შემოდიან ბათუ კრავეიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი.

— ბათუ, სად მომიყვანე, თამაში რომ არ ვიცი? — მომესმა პეტრეს მორიდებული სიტყვები.

— არა უჭირს, თამაშს მე აგიხსნი, შენ კი ნონას გაეცანი — იგი სახელოვანი მოჭადრაკე გახდება! — დაამშვიდა მეგობარი ბათუმ.

ნონამ ამ დღესაც გაიმარჯვა და გულშემატკივრები გაახარა. უნდა გენახათ ბათუ: მისი მეტყველი თვალები სიამაყესა და სიხარულს აევსო.

1962 წლის ნოემბერი. ბათუ პირველად გვესტუმრა „ლელოს" რედაქციაში.

— აი, ეს ლექსი ნონას მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვებამ დამაწერინა, — თქვა მან მორიდებით, როგორც ეს ახალბედა პოეტებს სჩვევიათ. დიდებული არტისტი პოეზიაში ახალბედა არ იყო. მისმა გულწრფელობამ ამჯერადაც ყველა მოხიბლა. ლექსიც დაიბეჭდა.

1964 წლის დეკემბერი. თბილისის სპორტის სასახლე. ხალხი ზეიმობს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის დიდ გამარჯვებას — სსრ კავშირის ჩემპიონის სახელის მოპოვებას. ბათუს შევხვდი.

— დიდი ზეიმი გვაქვს. გულის სიღრმემდე ვხარობ ბიჭების წარმატებით.

და ბათუმ დიდი პათოსით წაიკითხა მათდამი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

უკანასკნელად ბათუ ამ გაზაფხულს საავადმყოფოში ვინახულე. ოპერაცია ახალი გადატანილი ჰქონდა. თავს უქეიფოდ გრძნობდა, მაგრამ მაინც მთხოვა მეამბნა ჭადრაკის სამყაროს ამბები.

— თუ ნახეთ ტალი და ნონას დედა, ისინიც აქ წვანან, — მითხრა ბათუმ. — ტალმა ოპერაცია გაიკეთა და მგონი ყოჩაღადაცაა. რა კარგი იქნება, კვლავ ძველებურად რომ დაიწყოს თამაში!

კარგა ხანს დავრჩი მასთან. ბოლოს მკითხა:

— ჩემი ახალი ლექსი თუ მოეწონა ნონას? იქ ნამდვილ დედოფლობასაც ვუსურვებ!

როცა ვუთხარი, რომ ლექსს ვაქვეყნებ ნონასა და ა. კუშნირის მეორე მატჩისადმი მიძღვნილ წიგნში „ტახტზე მესამედ ავიდა", ესიამოვნა და მთხოვა, წიგნის გამოსვლა არ გამომაპაროო...

და დღეს კაცური კაცი, ქართული კულტურის დიდი მოჭირნახულე ბათუ კრავეიშვილი აღარ არის. დავკარგეთ ჩვენი სპორტის დაუღალელი გულშემატკივარი. მის სათაყვანებელ ხალხს დაგვრჩა ბათუ კრავეიშვილის მომაჯადოებელი სიმღერები, გულის სითბო და ნათელი მოგონებები.

თ. გიორგაძე.

# შავი ნიღაბი

ი. უგულავა

1928 წელს თბილისს ეწვია შავი ნიღაბი. იგი წითელ ნიღაბზე უფრო შესაზარი სანახავი იყო: თავზე ჩამოცმულ შავ ჩაჩში ამოჭრილი სათვალიდან ბოროტად იმზირებოდა ვიღაც უცნობი. ცირკის დირექციამ კი იცოდა მისი ვინაობა, მაგრამ ხალხმა? ათასი ჭორი დადიოდა ქალაქში შავი ნიღბის გარშემო. ამიტომ ყველა მოუთმენლად მოელოდა ჩემპიონატის დაწყებას. ყველას აინტერესებდა ფინალი — ახდიდნენ თუ არა ნიღაბს?

ჩემპიონატი იმით დაიწყო, რომ შავმა ნიღაბმა რამდენიმე წუთში სარბიელს გააკრა არბიტრის მიერ ნაქები მოჭიდავე და მოკრივე ჯონ როჯერსი. ნიღბოსანი სარბიელზე მოძრაობდა ეკონომიურად, ყველა ფანდი დამუშავებული ჰქონდა. როჯერსის ბედი გაიზიარეს ჩემპიონატის სხვა მონაწილეებმაც. შავი ნიღაბი გამარჯვებას ზეიმობდა! ვერავინ შეეხო მის ნიღაბს. როდესაც ჩემპიონატი დამთავრდა და სპეციალური ჯილდო საზეიმო ვითარებაში მისთვის უნდა გადაეცათ, ქანდარიდან ვიღაცამ იყვირა:

— გაულახავი უნდა წავიდეს? კანდელაკი დასჭიდეთ!

დამსწრეთ თითქოს ახლა მოაგონდათ სანდრო. ყურწამლები გნიასი ატყდა:

— კანდელაკი ჩამოიყვანეთ, კანდელაკი, კანდელაკი...

ქანდარას პარტერი აჰყვა. ფიცრული მაყურებელთა ყიჟინისგან აზანზარდა. აქ გაჩნდა კლიმოვი — ცირკის ადმინისტრატორი. შეშფოთებული სახით დაუწყო ლაპარაკი არბიტრს. შემდეგ არბიტრმა ხელი აღმართა, ხალხი დააწყნარა და განაცხადა:

— ცირკის დირექცია აკმაყოფილებს მაყურებელთა თხოვნას. ხვალ მცხეთაში გაგზავნის კაცს, სთხოვს სანდრო კანდელაკს, ჩამოვიდეს და შავ ნიღაბს დაეჭიდოს.

შავმა ნიღაბმა მხრები აიჩეჩა და ამპარტავნულად განაცხადა:

— თუ ასეთი მოჭიდავე გყავდათ, ვის უნახავდით, გამოიყვანეთ და დამაჭიდეთ!

— მაშ ასე, პატივცემულო საზოგადოებავ, ხვალ შედგება უკანასკნელი მატჩი შავ ნიღაბთან. ყველას გთხოვთ!

სანდრო ყველა ჩემპიონატში არ მონაწილეობდა, თავისი მეურნეობით იყო გართული. ახლა, რაკი სპეციალურად კაცი აახლეს, ჩამოვიდა თბილისში და ცირკის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების შემდეგ თბილისის მილიციის უფროსის სიმონ ხმალაძის კაბინეტში ამოყო თავი. ხმალაძე ჭიდაობის დიდი ქომაგი იყო. იგი ხშირად ესწრებოდა ჩემპიონატის ცალკეულ შეხვედრებს, ხოლო თუ შეჯიბრებაში რომელიმე ქართველი ფალავანი მონაწილეობდა, მაშინ ფეხმოუცვლელად იჯდა ხოლმე ლოჟაში. ხმალაძე ვერ იტანდა პროფესიონალ მოჭიდავეთა გაუთავებელ ხრიკებს, მაყურებლის მოტყუებას. ამიტომაც გამოიძახა იმ დღეს სანდრო თავისთან.

— რაო, რა გითხრეს? — ჰკითხა ოთახში შემოსულ სანდროს.

— იჭიდავეო.

— პირობა?

— დღეს მე უნდა წავიქცე, ხვალ — შავი ნიღაბი, ზეგ უნდა გავშველდეთ, მაზეგ...

— კმარა! — თქვა ხმალაძემ მკაცრად და შავ, გრძელ ულვაშებზე ხელი გადაისვა. — მაშინ მე ჩავშლი მათს განზრახვას. დაგაპატიმრებ, დიახ, დაგაპატიმრებ. სამი მილიციელი არ გეყოფა? ოთხს დავუძახებ, თუ გაგვიძალიანდები, ოცეულს გამოვიძახებ, არსენასავით გაგთოკავ და ვირის აბანოში ამოგაყოფინებ თავს.

— რათა, კაცო?

— იმად, რომ მაგ მოთრეულ ტანტებს ხალხს მასხარად არ ავაგდებინებ. კმარა, რაც გააბრიყვეს თბილისელები. წააქცევ იმ შავ ნიღაბს? — უთხრა მცირე პაუზის შემდეგ და თვალი თვალში გაუყარა. — თქვი პირდაპირ, პატივისცემა ჩემზე იყოს.

— ხუთ წუთში დავფშვნი.

— ჰოდა ასე, დაჯექი. დღეს შენ იჭიდავებ, წააქცევ, ნიღაბს ააგლეჯ სახიდან, ხოლო ხვალ ქალაქიდან გავაგდებ მაგ თაღლითს. აქამდეც შემეძლო ეს, მაგრამ არ მინდოდა დაუმარცხებელი წასულიყო თბილისიდან და ეს ეტრაბახა, საქართველოს დედაქალაქში ჩემი მომრევი არავინ მოიძებნებაო. ტანტების ნუ გეფიქრება, მაგათ მე მოვუვლი. თუ თავისას არ დაიშლიან, სულ მივუხურავთ მაგ „ბალაგანს".

... თარჯის უკან, საპარადო გასასვლელთან იდგა ცირკის ადმინისტრატორი კლიმოვი, ტანტების საიმედო კაცი, ყველა მორიგი ხრიკისა და თაღლითობის სულისჩამდგმელი. იგი კმაყოფილებით გასცქეროდა ხალხით სავსე დარბაზს. „დღეს სანდრო კანდელაკს წააქცევენ. — ფიქრობდა კლიმოვი, — ასეა შეთანხმება, და იქვე გამოაცხადებენ რომ ხვალ შედგება რევანში — სანდრო იწვევს შავ ნიღაბს. შეურაცხყოფილი თბილისელები მოაწყდებიან ცირკს. ბილეთს ფასს ავუწევთ. შავი ნიღაბი წაიქცევა, მაგრამ ითხოვს შეწყალებას და კიდევ ერთხელ ჭიდაობის უფლებას. ზეგ მათი ჭიდაობა უშედეგოდ დამთავრდება. მაზეგ შედგება უკანასკნელი შეხვედრა — ჭიდაობა შედეგამდე. ჯანდაბას, იჭიდაონ, რამდენიც უნდათ. ცირკს თავისი უკვე განაღდებული ექნება".

დაიმედებული იყო კლიმოვი, სანდროს მხოლოდ იგი მოელაპარაკა. მეორე კაციც იყო დაიმედებული — სიმონ ხმალაძე წყნარად იჯდა ლოჟაში და შავ ულვაშებს მალიმალ ხელით ისწორებდა. მაყურებელმა კი არაფერი იცოდა, ღელავდა, ბობოქრობდა. ჭიდაობის დაწყების წინ ვიღაცამ ხმა გაავრცელა: შავი ნიღაბი სტამბოლელი თურქიაო. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. მკითხველმა წარმოიდგინოს, რა დიდი სულიერი ტრავმა იქნებოდა თბილისელთათვის, ამ დღეს სანდრო რომ წაქცეულიყო.

— სარბიელზე არიან შავი ნიღაბი და საქართველოს გოლიათი სანდრო კანდელაკი. თუ გაიმარჯვებს, უფლება აქვს მოწინააღმდეგეს ნიღაბი ახადოს.

— მოკლედ განაცხადა არბიტრმა და სასტვენს ჩაბერა.

ჭიდაობა ისე არ დაიწყო, როგორც შავ ნიღაბს უნდოდა. სანდრო, ეს ამოდენა დევკაცი, მისთვის უჩვეულო სიფიცხეს იჩენდა, უტევდა, ბრძოლისკენ მიისწრაფოდა. მეხუთე წუთზე მოგვერდით წამოიღო კიდეც ნიღბოსანი. მეათე წუთზე ისევ გაიმეორა ფანდი და მეტოქე სარბიელზე დასცა, მაგრამ შავი ნიღაბი მხოლოდ მარცხენა ბეჭით შეეხო ხალიჩას. სანდრომ ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. მიჰყვა და მიაწვა.

დარბაზი ფეხზე იდგა. 500 თუ 600 მაყურებელი, როგორც ერთი, გაჰყვიროდა:

— არ გაუშვა, არ გაუშვა...

არბიტრი უკვე ყოველგვარი მორიდების გარეშე ხელს უშლიდა სანდრო კანდელაკს, ხალიჩაზე დაეჭყლიტა შავი ნიღაბი. კლიმოვი თარჯის იქიდან რაღაცას გაჰყვიროდა დამტვრეული ქართულით. სანდრო კი არავის აქცევდა ყურადღებას, ზევიდან აწვებოდა მკერდით, უმოწყალოდ ბურჯგნიდა, თელავდა ნიღბოსანს, რომელიც სიმწრისაგან ღრიალებდა, ალბათ, შველას ითხოვდა. სულ ცოტა, ორიოდე სანტიმეტრი, და მეტოქის მარჯვენა ბეჭიც შეეხებოდა სარბიელს.

დარბაზი კი გაჰკიოდა:

— არ გაუშვა, მოკალი, გაჭყლიტე!

სანდრომ, მართლაც, გაჭყლიტა. ფერწასულმა არბიტრმა ჭიდაობის დამთავრება ამცნო მაყურებელს. სანდრო მაინც არ ეშვებოდა, მთელი სიმძიმით აწვა ზევიდან შავ ნიღაბს. შემდეგ მარცხენა ხელზე დაეყრდნო, მარჯვენათი სახიდან ნიღაბი ახია მეტოქეს. ახია და მაყურებლისკენ გატყორცნა.

ამ დღეს ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ თბილისელები, რომ სანდროს მოწრევი „დედამიწაზე არ დაბადებულა". მხოლოდ შავი სიკვდილი თუ შებედავდა მას. და როდესაც შებედა (1959 წელს), ხალხმა ასეთი ლექსი უძღვნა ფალავანს.

„სიკვდილთან შებმა ძნელია —
მისი ხსენება დაიქცა,
სანდრო კანდელაკს შეება,
სანდრო სიკვდილთან წაიქცა".

დასასრული. იხ. „ლელო" № 117.



დასავლეთგერმანული ილუსტრირებული ჟურნალი „კვიკი", რომელიც ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოდის, თითქმის ყოველ ნომერში აქვეყნებს ფოტოსენსაციებს. ერთ-ერთ ასეთ „სენსაციას" დღეს გთავაზობთ.

ინგლისის ქალაქ საუთპორტის ზოოპარკში ბედნიერად ცხოვრობდა ორი 80 წლის კუ. „კვიკის" რეპორტიორებმა მათი დახმარებით „სენსაციის" მოწყობა გადაწყვიტეს — ზოოპარკის დირექტორის ოთხი წლის ბიჭი და მისი ორი ამხანაგი დაიყოლიეს, „შეჯიბრება" გავმართოთო. არც ერთი კუ ადგილიდან არ დაიძრა, თითქოს გრძნობდნენ, რომ დიდება ელოდათ. მაშინ გამომგონებელმა რეპორტიორმა ორი ანკესი გამოძებნეს და ზედ სტაფილო წამოაგეს. ამის დანახვაზე ორივე კუ აღელდა და „შეჯიბრებაც" დაიწყო (იხილეთ სურათი). ასე იშვა მორიგი „ფოტოსენსაცია".

# 20ს

◆ ნიუ-იორკი, 17 ივნისი. კ. პატერმა მოიხვეჭა აშშ-ს ჩემპიონის სახელი ზემძიმე წონის ძალოსანთა შორის. მან უკან ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონი ჯ. დიუბი. გამარჯვებულმა დაამყარა ეროვნული რეკორდები სამჭიდსა და აკვრაში (582 და 222 კგ). მან აჭიმა 206, აიტაცა 154 კგ. დიუბის მაჩვენებლები უფრო მოკრძალებული გამოდგა—546 კგ (202+149+195).

◆ ლონდონი, 17 ივნისი. „კუინს-კლაბის" ბალახიან კორტებზე დაიწყო ჩოგბურთელთა ტრადიციული ტურნირი. როგორც წესი, ეს შეჯიბრება წინ უსწრებს უიმბლდონის ტურნირს. სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა დაამარცხა ძლიერი ინგლისელი პროფესიონალი რ. ტეილორი — 4:6, 6:3, 8:6. მოსკოველმა ო. მოროზოვამ წააგო ავსტრალიელ ჰ. გურლეისთან — 6:8, 9:7, 2:6. მისმა თანაქალაქელმა ვ. კოროტკოვმა — ამერიკელ მ. რისენთან — 2:6, 2:6, ალმაათელმა მ. კროშინამ — ვ. უედთან (ინგლისი) — 4:6, 5:7.

## ანკესებით მდინარე სუფსაზე

აჭარის „განთიადის" საოლქო საბჭომ ჩაატარა შეჯიბრება ანკესებით თევზის ჭერაში. მონაწილეობდა ელექტროხელსაწყოების, ნავთობგადამამუშავებელი, გემთმშენებელი, სარეცხი მანქანების ქარხნების, ფეხსაცმლის ფაბრიკის, ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის და სხვათა, სულ 11 გუნდი. თითოეული გუნდის შემადგენლობაში 10 კაცი გამოდიოდა და ყოველ მათგანს ათი ანკესის გამოყენება შეეძლო.

დილაადრიან ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სახლის წინ თავი მოიყარეს მოასპარეზეებმა და მანქანებით გაემართნენ მდინარე სუფსისკენ.

110 სპორტსმენმა ანკესები ერთდროულად ჩაუშვა წყალში. 4-საათიანი ასპარეზობის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ გამოავლინა გამარჯვებული. I ადგილი და „განთიადის" გარდამავალი თასი ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის სპორტსმენებს ერგოთ, მათ 169 ცალი თევზი დაიჭირეს. II ადგილზეა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გუნდი — 98. III — ხისდამამუშავებელი კომბინატის წარმომადგენლები — 85.

ო. მურვანიძე.

ლანჩხუთის რაიონი.
სოფელი სუფსა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## 20 და 21 ივნისს!

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირის თასის — გაზეთ „იზვესტიას" პრიზის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირი მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და კრასნოდარის ქალთა და ვაჟთა გუნდები. სარბიელზე გამოვლენ სამხტომში—მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. სანეევი (სოხუმი), ბადროს ტყორცნაში—სსრ კავშირის რეკორდსმენი გ. გუდაშვილი, სპორტის ოსტატები კ. გორძამაშვილი, ლ. ტუღუში, ლ. იევლევა, ი. კოზელსკი, ი. დელა-როსა (ყველა — თბილისი), ე. შოპშა, ი. კონდრაშოვი (ორივე — კრასნოდარი) და სხვა უძლიერესი სპორტსმენები.

დასაწყისი: 20 ივნისს 9 და 17 ს. 21 ივნისს — 17 ს,

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03291